თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 8

ქ.თელავი 20. 08. 2020 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის **თავმჯდომარე ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება- მრეწველები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევანი ბერძენაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N16 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N17 დადგენილებაში დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

4. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ნ. ხვისტანი

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N12 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

6. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესის, და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N03 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილება განპირობებულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში“ შესული ცვლილებით.

კერძოდ, ცვლილების თანახმად, მერის წარმომადგენელმა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა

გარკვეული სახის ცნობების გაცემის უფლებამოსილება, რასაც ცვლილებამდე ახორციელებდა მერიის შესაბამისი სამსახური.

გადაწყვიტეს: აღნიშნული ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N16 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** განმარტა რომ აღნიშნული ცვლილება განპირობებულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში" შესული ცვლილებით.

ცვლილების თანახმად, მერის წარმომადგენლებისათვის ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული სახის ცნობების გაცემის უფლებამოსილება, უნდა აისახოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაშიც.

გადაწყვიტეს: აღნიშნული ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N17 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** განმარტა რომ აღნიშნული ცვლილება განპირობებულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში" შესული ცვლილებით.

ცვლილების თანახმად, მერის წარმომადგენელმა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა გარკვეული სახის ცნობების გაცემის უფლებამოსილება, რასაც ცვლილებამდე ახორციელებდა მერიის შესაბამისი სამსახური, კერძოდ, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

გადაწყვიტეს: აღნიშნული ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **აღნიშნული ცვლილებით** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს ახალი განყოფილების სახით ემატება „ ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების მხარდაჭერის'' განყოფილება.

ცვლილების აუცილებლობა განპირობებულია ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების მხარდაჭერის შესახებ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კოდექსი ამოქმედდება 2020 წლის 01 სექტემბერს.

გადაწყვიტეს: აღნიშნული ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N12 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ მერის წარმომადგენლებისათვის ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებამ გამოიწვია ცვლილება არა მარტო მერიის დებულებაში, არამედ საშტატო ნუსხაშიც.

გადაწყვიტეს: აღნიშნული ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: 6. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესის, და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო

ინფორმაციის ნუსხის პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობის და საჯარო ინფორმაციის სისტემატიზაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მუნიციპალიტეტს გააჩნდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესის, და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის შესახებ ერთიანი წესი.

გადაწყვიტეს: აღნიშნული ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

კომისიის თავმჯდომარე: ნ. [signature] **ნანა ხვისტანი**